რჩევები პაციენტებისთვის

რატომ არის მნიშვნელოვანი ხელის ჰიგიენა ? ექიმები და ექთნები ყოველდღიურად უამრავ ადამიანზე ზრუნავენ, ეხებიან პაციენტებს და მათ გარემოს. ასეთ დროს, თუ ისინი არ დაიცავენ ხელის ჰიგიენის შესრულების წესებს, რისკის ქვეშ დააყენებენ თქვენს ჯანმრთელობას, რადგან შესაძლოა დაგაინფიცირონ მიკრობებით.

რას ვგულისხმობთ "ინფექციებში"- ინფექციას, რომელსაც იღებთ სამედიცინო მომსახურებისას თქვენი ან სხვა პაციენტის მიკრობების გადაცემის გზით, ეწოდება სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექცია. ეს ინფექციები წარმოადგენს პაციენტის უსაფრთხოების მთავარ პრობლემას, ხოლო ხელის ჰიგიენა არის უმარტივესი და ყველაზე ეფექტური გზა დაინფიცირების შესამცირებლად. მიუხედავად იმისა, რომ ხელის ჰიგიენა მარტივია, სამედიცინო სფეროს მუშაკებმა შეიძლება არ შეასრულონ ხელის ჰიგიენა გადაღლილობის ან სხვა მიზეზის გამო.

როგორ შეგიძლიათ დახმარება ?- თქვენი მონაწილეობა იწყება ინფორმაციის მოძიებით ხელის ჰიგიენის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს ასევე შეგიძლიათ შეახსენოთ ჯანდაცვის მუშაკებს ხელის ჰიგიენის შესრულების შესახებ თქვენს კანთან და თქვენთან დაკავშირებულ სამედიცინო მასალებთან (მაგ: კათეტერი) შეხებამდე.

იცოდით ?

უბრალოდ სთხოვეთ ან მადლობა გადაუხადეთ თქვენს ექიმს, ექთანს ან ჯანდაცვის სხვა წარმომადგენელს თქვენთან შეხებამდე შეასრულოს ხელის ჰიგიენა. ეს დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ სამედიცინო მომსახურეობასთან ასოცირებული ინფექციები.

ეს რჩევები დაგეხმარებათ გაიგოთ, თუ როგორ უნდა მიიღოთ მონაწილეობა ხელის ჰიგიენის გაუმჯობესებაში სამედიცინო მომსახურეობის მიღების დროს.

თქვენ და/ან თქვენს ოჯახს შეგიძლიათ გააკეთოთ 4 ძირითადი რამ:

1. იკითხეთ, არსებობს თუ არა ინიციატივა, რომელიც მოიცავს პაციენტის მონაწილეობას ხელის ჰიგიენის პროგრამაში. თუ კი, იკითხეთ არის თუ არა ამის შესახებ ბროშურა ან საინფორმაციო ფურცელი და გამოხატეთ თქვენი მონაწილეობის სურვილი.
2. ნუ შეგეშინდებათ დაწესებულებაში ხელის ჰიგიენის წესების შესახებ კითხვის დასმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მუშაკები მიმართავენ ყველა შესაძლო ძალისხმევას, რომ აღმოგიჩინონ საუკეთესო დახმარება, თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ინფორმაცია და შეამოწმოთ, არსებობს თუ არა ამ მხრივ კარგი პრაქტიკა დაწესებულებაში. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მკურნალობის გამოსავლების გაუმჯობესებას.

3. დააკვირდით, არის თუ არა თქვენს პალატაში დისპენსერები ალკოჰოლის შემცველი ხელის ანტისეპტიკური საშუალებებით. ნიჟარები, საპონი და ერთჯერადი ხელსახოცები, ან აქვთ თუ არა ჯანდაცვის მუშაკებს ჯიბის ხელის დეზინფექტანტები. თუ არა, ჰკითხეთ, რატომ არ არის ხელმისაწვდომი ხელის ჰიგიენის საშუალებები და მოითხოვეთ პატარა ბოთლი ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური საშუალება თქვენს საწოლთან განსათავსებლად.
4. თუ ხელის ჰიგიენის საშუალებები ხელმისაწვდომია, გადაუხადეთ მადლობა თქვენს ექიმს, ექთანს ან ჯანდაცვის სხვა მუშაკს, როცა ხედავთ, რომ ისინი იტარებენ ხელის ჰიგიენას თქვენთან ან სამედიცინო მასალებთან შეხებამდე (მაგ., კათეტერი, ჭრილობის სახვევი, დრენაჟის მილი).

შემდეგი ძირითადი პუნქტები დაგეხმარებათ გაიგოთ სწორი მეთოდი და შეახსენოთ თქვენს ექიმს, ექთანს ან ჯანდაცვის სხვა პროფესიონალს ხელის ჰიგიენის შესახებ:

ვინ? ექიმები, ექთნები და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები (როგორებიც არიან ტექნიკოსები და ასისტენტები), რომლებიც თქვენ გეხებიან. თქვენმა ნათესავებმა და სტუმრებმაც უნდა დაიბანონ ხელები შემოსვლისას, განსაკუთრებით თქვენთან შეხებამდე და შეხების შემდეგაც , ასევე წასვლის წინ.

რა? როდესაც ჯანდაცვის მუშაკი შემოდის თქვენი მოვლის ზონაში (მაგალითად, თქვენი საწოლის გვერდით) თქვენთან ან სამედიცინო მასალებთან შეხებამდე (მაგ. კათეტერი, ჭრილობის სახვევი, დრენაჟის მილი), შეგიძლიათ სთხოვოთ, დაიმუშაოს ხელები ალკოჰოლზე დაფუძნებული ხელის ანტისეპტიკური საშუალებით. ან, შეგიძლიათ წინასწარ მადლობა გადაუხადოთ მათ,როგორც თავაზიანი შეხსენება, როცა მოგიახლოვდებიან პროცედურის ჩასატრებლად.

როდის?

ხუთი მნიშვნელოვანი მომენტი შეახსენეთ ჯანდაცვის მუშაკებს ხელის ჰიგიენის შესახებ:

1. თქვენთან შეხების წინ
2. სუფთა/ასეპტიკური პროცედურის ჩტარებს წინ, როგორიცაა ინტრავენური კათეტერის ჩადგმა
3. პროცედურების შემდეგ, რომელთა ჩატარება დაკავშირებულია სხეულის ბიოლოგიურ

სითხეებთან შეხებასთან, მაგ.როგორიცაა შარდის კათეტერის დაცლა.

4. თქვენთან შეხების შემდეგ
5. თქვენი მოვლის ზონაში არსებულ ნივთებთან შეხების შემდეგ, როგორიცაა საწოლი ან თქვენი სამედიცინო ისტორია.

სად? მიუხედავად იმისა, სადაც არ უნდა ჩატარდეს სამედიცინო პროცედურა - იქნება ეს ჰოსპიტალში თუ ექიმის კაბინეტში.

როგორ? შეხსენება და მადლიერება დადებითი ურთიერთდამოკიდებულებაა და თქვენი მკურნალი აუცილებლად მიხვდება თქვენს პოზიტიურ მიზანს, რომელიც მიმართულია ინფექციის თავიდან ასაცილებლად. იყავი უშუალო და გააკეთე ეს უფრო ხშირად!!

- „გმადლობთ ხელის ჰიგიენისთვის“.
- “დაიმუშავეთ ხელები?”
- “შეგახსენებთ ხელის ჰიგიენის შესახებ?”